ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის

ოქმი № 11

25 ნოემბერი 2021 წელი

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2021 წლის 25 ნოემბერს შედგა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა ჩატარდა დისტანციურად, ელექტრონული პლატფორმა zoom-ის

საშუალებით.

სხდომა გახსნა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია სულ 39 წევრი

სხდომას ესწრებოდა 29 ხმის უფლების მქონე წევრი

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის ,,ფინანსები" დამტკიცების შესახებ
/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,პროფესორი ლ.საბაური/

2. თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ
/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ.საბაური/

3. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების დასაფინანსებლად კონკურსის პირობები და ჩატარების წესში“ ცვლილების შესახებ

/დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ასოცირებული პროფესორი, მ. ლობჟანიძე/

4. ტურიზმის კვლევითი ცენტრის სახელწოდების ცვლილების შესახებ.

/დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ასოცირებული პროფესორი, მ. ლობჟანიძე/

მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის, პროფესორ გიორგი ღაღანიძის ინფორმაცია საბჭოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 29

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 25 ნოემბრის №11 სხდომის დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის ,,ფინანსების“ დამტკიცების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,პროფესორი ლ.საბაური/

2. თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ.საბაური/

3. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების დასაფინანსებლად კონკურსის პირობები და ჩატარების წესში“ ცვლილების შესახებ

/დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ასოცირებული პროფესორი, მ. ლობჟანიძე/

4. ტურიზმის კვლევითი ცენტრის სახელწოდების ცვლილების შესახებ.

/დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ასოცირებული პროფესორი, მ. ლობჟანიძე/

მოისმინეს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის ,,ფინანსები“ დამტკიცების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,პროფესორი ლ.საბაური/

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა,პროფესორმა, ლევან საბაურმა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა „ფინანსები“. აღნიშნული პროგრამა საბჭოს წევრებს წინასწარ დაეგზავნათ გასაცნობად.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა გ.ღაღანიძემ, აკადემიკოსმა ა.სილაგაძემ, პროფესორმა ი.კოვზანაძემ, პროფესორმა ს.გელაშვილმა.

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 26

წინააღმდეგი - 1

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო-2

დაადგინეს: დამტკიცდეს, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა „ფინანსები“.

მოისმინეს: თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ.საბაური/

პროფესორმა ლევან საბაურმა, საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილით (№23294/10, 05.11.2021) სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2002 წლის კურსდამთავრებულ არჩილ გიორგაძისთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის დაზუსტება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტემენტის მიერ წარმოდგენილ საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ **არჩილ კობას ძე გიორგაძე** 1998 წლის მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების მენეჯმენტის სპეციალობაზე (ბრძანება №4/570, 5.08.1998).

მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის, დღის განყოფილების მენეჯმენტის სპეციალობის კურსდამთვრებულ არჩილი გიორგაძეს მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის მენეჯმენტის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის 2002 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით (ოქმი №7) მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მენეჯერის კვალიფიკაციით, ხოლო ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2002 წლის 10 ივლისის №4/831 ბრძანებით - მენეჯერის კვალიფიკაცია და ეკონომიკის ბაკალავრის ხარისხი და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

2002 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი BN№08161 (სარეგისტრაციო №01/292) რეგისტრირებულია არჩილ გიორგაძის სახელზე.

წარმოდგენილ საარქივო დოკუმენტებში არის არჩილ გიორგაძის სახელზე გაცემული ბაკალავრის დიპლომის ასლი, რომლიდანაც ირკვევა შემდეგი: **„არჩილ გიორგაძე, დაბადებული 1980 წელს, 1998 წლიდან 2002 წლამდე სწავლობდა და 2002 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის**

მენეჯმენტის და მიკროეკონომიკის ფაკულტეტი და მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სპეციალობით „მენეჯმენტი“.

არჩილ გიორგაძის სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომში მითითებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და კვალიფიკაცია არ არის შესაბამისობაში მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის მენეჯმენტის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმით (№7, 20.06.2002) და თსუ რექტორის ბრძანებით (№4/831, 10.07.2002) მინიჭებულ ხარისხთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა შესწორდეს ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის მენეჯმენტის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილება (ოქმი №7, 20.06.2002) და კურსდამთავრებულებს (მ.შ. არჩილი გიორგაძე) ნაცვლად „ბაკალავრის აკადემიური ხარისხისა მენეჯერის კავლიფიკაციით“ მიენიჭოთ „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, მენეჯერის კვალიფიკაციით“.

პროფესორმა ლევან საბაურმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, რათა დაზუსტდეს არჩილ გიორგაძისთვის მინიჭებული კვალიფიკაციის/ხარისხის (კორექტირების) საკითხი და განხორციელებული ცვლილება გავრცელდეს მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის მენეჯმენტის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმში (№7, 20.06.2002) დაფიქსირებულ დღის განყოფილების ყველა კურსდამთვრებულზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 29

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის „მენეჯმენტის“ სპეციალობის დღის განყოფილების 2002 წლის კურსდამთავრებულ **არჩილი გიორგაძეს** ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მენეჯერის კავლიფიკაციით“** მიენიჭოს **„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მენეჯერის კავლიფიკაციით“.**

2. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის „მენეჯმენტის“ სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2002 წლის 20 ივნისის შემაჯამებელ სხდომის ოქმში მითითებულ დღის განყოფილების ყველა კურსდამთავრებულზე (იხ. მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის „მენეჯმენტის“ სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის შემაჯამებელ სხდომის ოქმი №7, 20.06.2002) და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართის შემთხვევაში.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების დასაფინანსებლად კონკურსის პირობები და ჩატარების წესში“ ცვლილების შესახებ

/დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ასოცირებული პროფესორი,

მ. ლობჟანიძე/

ასოცირებულმა პროფესორმა, მანანა ლობჟანიძემ საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგრანტო პროექტების დებულებაში ცვლილების საკითხი, კერძოდ „ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების დასაფინანსებლად კონკურსის პირობები და ჩატარების წესის “ მე-2 მუხლის მე-5 პუნქტში. ფაკულტეტის ფარგლებში განსახორციელებელი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ბიუჯეტი და შესაბამისად, დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება არაუმეტეს 7,500 ლარით. ნაცვლად ამისა, ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ფაკულტეტის ფარგლებში განსახორციელებელი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ბიუჯეტი და შესაბამისად, დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება არაუმეტეს 10,000 ლარით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 29

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: „ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების დასაფინანსებლად კონკურსის პირობები და ჩატარების წესის “ მე-2

მუხლის მე-5 პუნქტში, შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ფაკულტეტის ფარგლებში განსახორციელებელი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ბიუჯეტი და შესაბამისად, დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება არაუმეტეს 10,000 ლარით.

მოისმინეს: ტურიზმის კვლევითი ცენტრის სახელწოდების ცვლილების შესახებ.

/დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ასოცირებული პროფესორი, მ.ლობჟანიძე/

ასოცირებულმა პროფესორმა, მანანა ლობჟანიძემ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ტურიზმის კვლევითი ცენტრის სახელწოდების ცვლილების საკითხი, კერძოდ, შეიცვალოს ტურიზმის კვლევითი ცენტრის სახელწოდება და ეწოდოს, ინდუსტრიული პოლიტიკის კვლევის ცენტრი.

დებულება ცენტრის შესახებ საბჭოს წევრებს წინასწარ დაეგზავნათ გასაცნობად

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა: ა.სილაგაძემ, გ.ღაღანიძემ; ასოცირებულმა პროფესორებმა: გ.ერქომაიშვილმა, უ,სამადაშვილმა.

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 29

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: 1. შეიცვალოს ტურიზმის კვლევითი ცენტრის სახელწოდება და ეწოდოს, ინდუსტრიული პოლიტიკის კვლევის ცენტრი.

2. ორი კვირის ვადაში წარმოდგენილ იქნას აღნიშნული ცენტრის დებულება საბჭოზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის

საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი გ.ღაღანიძე

მდივანი, ასოცირებული პროფესორი მ. ძაბისურაძე